



ინფორმაცია 2022 წლის შემოდგომაზე კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციის შესახებ ფეხმძიმე ქალებისთვის

მოკლედ მთავარის შესახებ

- 2022 წლის შემოდგომაზე ყველა ფეხმძიმე ქალისთვის რეკომენდებულია გაიაროს რევაქცინაცია.
- რევაქცინაციის გავლით შესაძლებელია გარკვეული დროის განმავლობაში გააუმჯობესოთ დაცვის ეფექტი დაავადების მძიმე მიმდინარეობისგან.
- კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაცია უსაფრთხოა – ფეხმძიმობის პერიოდშიც. ის გიცავთ თქვენ და თქვენს შვილს
- დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ → [«საინფორმაციო ბუკლეტი მაღალი რისკის ჯგუფში მყოფი პირებისთვის»](#)

რატომ ვარ ფეხმძიმობის დროს მაღალი რისკის ქვეშ?

ფეხმძიმობის პერიოდში კოვიდ-19-ით დაინფიცირების შემთხვევაში, დაავადების გართულების რისკი მნიშვნელოვნად გაზრდილია, ვიდრე იგივე ასაკის არაორსული ქალების შემთხვევაში. მაგალითად, ფეხმძიმობის დროს იცვლება იმუნური სისტემა. ამ პერიოდში თქვენი ორგანიზმი უფრო მგრძობიარე ხდება და ადვილად შეიძლება დაინფიცირდეს, მაგალითად კორონავირუსით. დაავადების მძიმე მიმდინარეობის დროს შესაძლებელია მოგიწიოთ მკურნალობა ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში და საჭირო გახდეს ინტუბაციის ან ხელოვნური სუნთქვის ჩატარება. გარდა ამისა, დაავადების მძიმე მიმდინარეობის შემთხვევაში არსებობს ნაადრევი მშობიარობის მაღალი რისკი, რამაც შეიძლება გამოიწვიოს თქვენი შვილის ახალშობილთა ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში გადაყვანა (ნეონატოლოგია). მართალია, მშობიარობის შემდეგ თქვენ უკვე არ ხართ მაღალი საფრთხის ქვეშ, მაგრამ კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაცია ასევე რეკომენდებულია ძუძუთი კვების დროს. ვაქცინირებული მძუძუთი დედების რძე ახალშობილს გადასცემს კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო დამცავ ანტისხეულებს.

როგორ გიცავთ ვაქცინაცია?

ვაქცინაცია გიცავთ თქვენ და თქვენს შვილს. ანტისხეულებს, რომლებსაც თქვენი ორგანიზმი ვაქცინაციის შედეგად გამოიმუშავებს, ასევე შეუძლიათ ახალშობილის დაცვა.

როდის უნდა ჩატარდეს რევაქცინაცია?

ჩვენ გირჩევთ ვაქცინაციას ფეხმძიმობის მე-12 კვირის შემდეგ (ე.ი. ფეხმძიმობის პერიოდის მე-2 მესამედიდან). ზოგადად, ვაქცინაცია შესაძლებელია ფეხმძიმობის ადრეულ პერიოდშიც.

იმ შემთხვევაშიც, თუ თქვენ ფეხმძიმობას გეგმავთ ასევე რეკომენდებულია კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაცია.

ვაქცინაცია შესაძლებელია კოვიდ -19-ის საწინააღმდეგო ბოლო აცრიდან 4 თვის გავლის შემდეგ ან ინფექციის დადასტურებიდან 4 თვეში, ვაქცინაცია სხვა ინექტივირებული ვაქცინებით (როგორცაა გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინა) შეიძლება ჩატარდეს პარალელურად ან კოვიდ -19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციამდე ან მის შემდეგ.

რომელი ვაქცინა არის რეკომენდებული?

2022 წლის შემოდგომაზე ფეხმძიმე ქალებისთვის რეკომენდებულია ვაქცინაცია მრნა-ვაქცინით (ფაიზერი/ბაიონტეკი ან მოდერნა). სასურველია ვარიანტებზე ადაპტირებული (ბივალენტური) მრნა-ვაქცინის გამოყენება, თუ ეს ხელმისაწვდომია. ანალოგიურად, იგივე ეხება იმ ქალებს, რომლებიც ძუძუთი კვებავენ. ასევე შესაძლებელია აქამდე გამოყენებული (მონოვალენტური) ვაქცინების გამოყენება. დღეისთვის არსებული მონაცემები უჩვენებს, რომ მრნა-ვაქცინები, რომლებიც დღემდე გამოიყენება, ომიკრონის ვარიანტის შემთხვევაშიც უზრუნველყოფენ დაცვას მძიმე დაავადებებისა და ჰოსპიტალიზაციისგან.

თუ კოვიდ-19-ის წინააღმდეგ არ ვარ ვაქცინირებული?

ყველა იმ ფეხმძიმე ქალისთვის, რომელიც ჯერ კიდევ არ არის ვაქცინირებული რეკომენდებულია 2022 წლის შემოდგომაზე კოვიდ-19-ის ორი დოზით ვაქცინაცია 4 კვირის შუალედით.¹

რომელი დამატებითი ზომები მივიღო თავის დასაცავად?

ყველა იმ ადამიანს, ვინც ფეხმძიმე ქალთან ერთ ოჯახში ცხოვრობს, ასევე შეუძლია ჩაიტაროს ვაქცინაცია. მძიმედ დაავადების რისკი 65 წლამდე ჯანსაღი და ვაქცინირებული პირების შემთხვევაში ძალიან დაბალია. ვაქცინაცია უზრუნველყოფს ამ პირების დაბალ და მოკლევადიან დაცვას დაინფიცირების მსუბუქი ფორმებისგან. დღეისთვის არსებული ვირუსის ვარიანტების სხვა ადამიანებზე გადაცემის თავიდან აცილება ვაქცინაციის საშუალებით

¹ ვაქცინაცია 30-წლამდე პირებისთვის სასურველია ფაიზერი/ბაიონტეკის ვაქცინით.



თითქმის შეუძლებელია. დამატებითი ზომების საშუალებით (მაგ. პირბადის ტარება დახურულ სივრცეებში) თქვენ ასევე შეგიძლიათ დაიცვათ თავი კორონავირუსით დაინფიცირებისგან. გაითვალისწინეთ ჩვენი ძირითადი რეკომენდაციები.

→ ვებგვერდი «So schützen wir uns». (ასე დავიცავთ თავს).

სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია?

თუ დასაქმებული ხართ და გაქვთ დეკრეტულ შვებულებასთან დაკავშირებით კითხვები გაეცანით შვეიცარიის ეკონომიკის სახელმწიფო სამდივნოს (SECO) ინფორმაციას.

→ www.seco.admin.ch/mutterschutz

დამატებითი ინფორმაცია

ხარჯები: კოვიდ-19-ის საწინააღმდეგოდ რეკომენდებული ვაქცინაცია თქვენთვის უფასოა.

სად ტარდება ვაქცინაცია: ინფორმაციას იმის შესახებ, თუ სად ტარდება ვაქცინაცია, მიიღებთ შემდეგ ვებგვერდზე (www.foph-coronavirus.ch/cantons) ან თქვენი კანტონის საინფორმაციო ცხელ ხაზზე

დამატებითი ინფორმაცია კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციასთან დაკავშირებით იხილეთ ჯანდაცვის ფედერალური უწყების გვერდზე (FOPH): www.foph-coronavirus.ch/vaccination
ან მიმართეთ თქვენს ექიმს. ან მიმართეთ აფთიაქს.

ლინკები:

→ როგორ ტარდება კოვის-19-ის ვაქცინაცია | [Frequently Asked Questions \(FAQs\) \(admin.ch\)](http://www.admin.ch)

→ ხშირად დასმული კითხვები | [How does the COVID-19 vaccination work? | FOPH \(foph-coronavirus.ch\)](http://www.foph-coronavirus.ch)

